

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო

თბილისი

23 მაისი, 2009

სხდომა №4  
სხდომის ოქმი №4/2009

სხდომას ეწვრებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. პროფესორი ნატალია ბასილაია,
5. პროფესორი მაკა სალხინაშვილი
6. პროფესორი მურმან ცარციძე,
7. პროფესორი ნინო ორმოცაძე,
8. ასოცირებული პროფესორი მარინა ზორანიანი,
9. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე.

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თქუ დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. თქუ ფაკულტეტების საბჭოების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
3. თქუ აკადემიურ თანამდებობებზე განმეორებითი ღია კონკურსის დანიშვნის თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);

პირველ საკითხზე მოისმინეს:

პროფ. კ. ყურაშვილის ინფორმაცია თქუ დებულებასა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. პროფ. კ. ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თქუ დებულებაში ცვლილებების შეტანა განპირობებულია ამ აქტის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით და შეეხება მხოლოდ საქართველოს მართვის სამსახურის უფროსის დანიშვნის წესს. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მუხლის შესაბამისად, მე-18 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ისევე როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აკადემიური საბჭოს წარდგინებით.



აღნიშნული ცვლილება კანონში შევიდა მოგვიანებით (2007 წელი), რაც ასევე უნდა აისახოს უნივერსიტეტის დებულებაში. პროფ. ვ. ყურაშვილმა წარმოადგინა დებულებაში ცვლილების შეტანის პროექტი, კერძოდ:

- 1) თქუ დებულების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ზ) ქვეპუნქტი: "ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით";
- 2) თქუ დებულების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში, კ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "კ) წარმომადგენლობით საბჭოს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას";

პროფ. ვ. ყურაშვილმა ასევე წარმოადგინა ზემორე ცვლილებების ადეკვატური და ფაკულტეტების მიერ ინიცირებული სტრუქტურული ცვლილებების პროექტი თქუ დებულების თანდართულ სტრუქტურაშიც (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. სალხინაშვილმა, პროფ. მ. გარციემ, პროფ. ო. ეჯიბაძემ, პროფ. ვ. საყვარელიძემ

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას პროფ. ვ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი თქუ დებულებაში და მასზე თანდართულ თქუ სტრუქტურაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი;
2. ეთხოვოს თქუ პარტნიორთა კრებას, შეიტანოს სათანადო ცვლილებები თქუ დებულების დღევანდელ რედაქციაში და ნოტარიულად დამოწმებული პარტნიორთა კრების სხდომის ოქმის ერთი დამოწმებული ასლი წარმოადგინოს თქუ აკადემიურ საბჭოში;
3. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე და შესაბამისი წესით თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე განწესებამდე, თქუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობათა შესრულება დროებით დაეკისროს თქუ სამართლის ფაკულტეტის პედაგოგს დავით გეფერიძეს;
4. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს.

მეორე საჯაროზე წილისძინეს:

პროფ. ვ. ყურაშვილის ინფორმაცია თქუ ფაკულტეტის საბჭოების ფორმირების წესის თაობაზე. პროფ. ვ. ყურაშვილმა აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად "ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა



თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან უმაღლესი საგან მანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები". ამავე კანონის თანახმად, "ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები". თქუ დებულების მე-15 მუხლის თანახმად, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრის იგივე წესითა დადგენილი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების ზოგად წესად განისაზღვროს შემდეგი:

1. ფაკულტეტის საბჭოში გაერთიანებულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) ტანამდებობაზე განწესების დღიდან, მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტების მოშლამდე ან/და შეწყვეტამდე პერიოდით;
2. ფაკულტეტის საბჭოში გაერთიანებული აკადემიური პერსონალის შემადგენლობა და რიცხოვნება იცვლება მათი თანამდებობებზე განწესება-გათავისუფლების აქტების შესაბამისად;
3. ფაკულტეტის საბჭოში სათათბირო ხმის უფლებითა და შრომითი კონტრაქტის ვადით, შეიძლება გაწევრიანდნენ ფაკულტეტის მიერ უფროსი მასწავლებლებისა და მასწავლებლების თანამდებობებზე მოწვეული პირები;
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრებად განწესდებიან შესაბამისი ფაკულტეტის ის სტუდენტები (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები), რომლებიც არჩეულნი არიან უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში, იმავე ვადით, რა ვადითაც არიან ისინი თვითმმართველობის წევრები.
5. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, სტუდენტთა რიცხოვნება არ უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები; იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის რიცხოვნება ნაკლებია ფაკულტეტის საბჭოში გაწევრიანებული აკადემიური პერსონალის 1/4-სა, ფაკულტეტის სტუდენტები ირჩევენ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა იმ ოდენობას, რაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის სტუდენტური ქვოტის შესავსებად;
6. თქუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებისათვის, ამავე ფაკულტეტზე სტუდენტური კონტიგენტის მიღებამდე ვადით, თქუ სამართლის, ჯანდაცვისა და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტების სტუდენტთა ცალ-ცალკე ირჩევენ თითო წარმომადგენელს, ვინაიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტი უზრუნველყოფს ყველა დანარჩენი ფაკულტეტისათვის ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინების სწავლების პროცესს;
7. ფაკულტეტის საბჭოებმა უზრუნველყონ თავისი შემადგენლობების განახლება, ამ წესების შესაბამისად, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მოძრაობის თაობაზე რექტორის მიერ გამოცემული აქტების შესაბამისად და შესაბამისი არჩევნების ჩატარების შედეგად.

აზროვნის განყოფილება, პროფ. მაკა სალხინაშვილი, პროფ. ო. ეჯიბაძემ, პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. ნ.



1. დამტკიცდეს პროფ. ვ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი თპუ ფაკულტეტის საბჭოების ფორმირების წესი;
2. თპუ ფაკულტეტებმა უზრუნველყონ, ამ წესის შესაბამისად და თპუ-ში ჩატარებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, თპუ ფაკულტეტებს საბჭოების ახალ შემადგენლობათა განსაზღვრა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;
3. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს.

**მესამე საკითხზე მოისმინეს:**

პროფ. ვ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც აკადემიური საბჭოს წევრებს გააცნო მიმდინარე წლის თპუ აკადემიური პერსონალის ღია კონკურსის შედეგები, აგრეთვე თპუ საშტატო ნუსხის ბოლო რედაქცია და დასვა საკითხი გამოცხადდეს განმეორებითი ღია კონკურსი თპუ ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. მან საბჭოს წარმოდგინა შესაბამისი პროექტი, რომლის შესაბამისადაც კონკურსი უნდა გამოცხადდეს 8 ვაკანტურ თანამდებობაზე:

- 1) სამართლის ფაკულტეტზე:
  - ა) სრული პროფესორი - 1
  - ბ) ასოცირებული პროფესორი - 2;
- 2) ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე:
  - ა) ასოცირებული პროფესორი - 1
  - ბ) ასისტენტ-პროფესორი - 2;
- 3) ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე:
  - ა) ასოცირებული პროფესორი - 1;
- 4) ჯანდაცვის ფაკულტეტზე:
  - ა) ასოცირებული პროფესორი - 1.

აზრი გამოთქვას: პროფ. მაკა სალხინაშვილმა, პროფ. ო. ეჯიბაძემ, პროფ. ვ. საყვარელიძემ და ასოც. პროფ. ი. საყვარელიძემ

**გადაწყვიტეს:**

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:
  - ა) სამართლის ფაკულტეტი:
 

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;
  - ბ) ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:
 

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ასისტენტ-პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;
  - გ) ჰუმანიტარული ფაკულტეტი
 

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
  - დ) ჯანდაცვის ფაკულტეტი
 

ასოცირებული პროფესორი – 1.

2. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზაზა რუხაძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.
- ბ) ლელა ნადიბაძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- გ) ნატალია ზოდელავა, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი
- დ) ელგუჯა მექვაბიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- ე) რევაზ გველესიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- ვ) ოლღა პეტრიაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- ზ) ბელა მელქუშოვა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს ღია კონკურსის გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად განხორციელება;

4. ღია კონკურსი ცხადდება 2009 წლის 1 ივნისს , განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების შემოტანა განხორციელდეს 2009 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 1 აგვისტომდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. 3 შენობა 10, 2009 წლის 1 აგვისტოს 17.00 საათამდე;

5. საკონკურსო კომისიამ ღია კონკურსის შედეგები გამოაქვეყნოს 2009 წლის 20 აგვისტომდე; საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება თითოეულ კანდიდატურაზე მიიღება საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სპეციალიზაციის მიხედვით საკონკურსო კომისიის წევრთა ხმები, ხოლო ამ უკანასკნელთა ხმების გაყოფის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. ღია კონკურსში გამარჯვებული პირი აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნოს და გაფორმდეს შსს-თან შრომითი კონტრაქტი 2012 წლის 1 სექტემბრამდე ვადით;

7. ღია კონკურსი ჩატარდეს თპუ აკადემიური საბჭოს მიერ 2009 წლის 14 თებერვალს განსაზღვრული და სენატის მიერ 2009 წლის 14 თებერვალსვე დამტკიცებული პირობებით;

8. საკონკურსო კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და განცხადებათა მიღება უზრუნველყოს ირინა ხატიაშვილმა.


9. დაევალოს უნივერსიტეტის პრორექტორს ვ. ყურაშვილს, 2009 წლის 1 სექტემბრამდე მოამზადოს შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი თპუ რექტორის ბრძანებათა პროექტები;



10. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის ფოიეში, განცხადებათა სტენდზე, ბეჭდურ მედიაში, ინტერნეტში, ასევე ეცნობის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

თპუ აკადემიური საბჭოს  
თავმჯდომარე:

თპუ აკადემიური საბჭოს  
მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი